KSTAR UPS-ების საგარანტიო პირობები

შედგენილია 28.10.2026

საგარანტიო ვადა მითითებულია პროდუქტის გვერდზე და საგარანტიო ტალონში; ქვემოთ ის შემთხვევებია, როცა გარანტია არ მოქმედებს.

1. უწყვეტი კვების წყაროების შენახვისა და ექსპლუატაციის პირობები

პროდუქციაზე გარანტია არ ვრცელდება, თუ გამოვლინდა ერთ-ერთი შემდეგი გარემოება მაინც:

- ზენორმატიული დატვირთვა.
- 24 საათზე მეტი ხნით უწყვეტად მუშაობა 100%-იან დატვირთვაზე.
- მუშაობა ინდუქციურ დატვირთვაზე.
- 0°C ~ 40°C დიაპაზონისგან განსხვავებული გარემო ტემპერატურა.
- ფარდობითი ტენიანობა აღემატება 95%-ს ან წარმოიქმნება კონდენსატი.
- მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედება.
- დახურული სივრცე, ჰაერის ცირკულაციის გარეშე.
- მტვრიანი, ქიმიურად აგრესიული, მარილიანი ან კოროზიული გარემო.
- ცის ქვეშ გამოყენება და ნალექის ზემოქმედება.
- მოხდა შემომავალი ელექტროენერგიის პარამეტრების ისეთი გადახრა, რომელიც სცდება UPS-ის დასაშვებ მახასიათებლებს.
- არ არის საერთოდ ან არ არის სწორად მოწყობილი დამიწების სისტემა.
- მოწყობილობა დაზიანდა მეხის, გადაძაბვის, მოკლედ შერთვის შედეგად.

2. უწყვეტი კვების წყაროებში ინტეგრირებული ტყვია-მჟავა აკუმულატორების შენახვისა და ექსპლუატაციის პირობები

პროდუქტზე გარანტია არ ვრცელდება, თუ გამოვლინდა ერთ-ერთი შემდეგი გარემოება მაინც:

- დასაწყობებულია 6 თვეზე მეტი ხნით.
- 5°C ~ 25°C დიაპაზონისგან განსხვავებული გარემო ტემპერატურა.
- ფარდობითი ტენიანობა აღემატება 95%-ს ან წარმოიქმნება კონდენსატი.
- მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედება.
- დახურული სივრცე, ჰაერის ცირკულაციის გარეშე.
- მტვრიანი, ქიმიურად აგრესიული, მარილიანი ან კოროზიული გარემო.
- ცის ქვეშ გამოყენება და ნალექის ზემოქმედება.